„Promotool-ის პლატფორის" წესები და პირობები

ბოლო განახლების თარიღია 2020 წლის 5 ოქტომბერი

1.- განმარტებები

შემდეგი ტერმინები

„კამპანია" გულისხმობს: თითოეულ აქციას, განცხადებას, რეკლამას ან მარკეტინგულ ქმედებას ან ღონისძიებას, რომლებიც მიზნად ისახავს პარტნიორის საქმიანობის ხელშეწყობას Glovo-ს აპლიკაციაში და რომლის შექმნა პარტნიორისთვის შესაძლებელია Promotool-ის საშუალებით.

„კამპანიის ბიუჯეტი" იგივე „კამპანიის ხარჯი" გულისხმობს: თითოეული კონკრეტული კამპანიისთვის პარტნიორის მიერ დადგენილ მთლიან ღირებულებას Promotool-ის საშუალებით (როგორც ეს ზემოთ არის მოცემული).

„გამოყენების და ხელშეკრულების ზოგადი პირობები" მოიცავს: წესებს და პირობებს, რომელიც ხელმისაწვდომია Glovo აპლიკაციის მომხმარებლებისთვის და რომელიც შეგიძლიათ ნახოთ აქ.

„Glovo" გულისხმობს: ჩვენი კომპანიის ნებისმიერ ჯგუფს, რომელსაც ფლობს იურიდიული პირი Glovoapp23, SL, რეგისტრირებული ოფისით ესპანეთში, რეგისტრირებული მისამართზე 190 Calle Pallars, Barcelona (08005), დღგ-ს ნომერი B-66362906. Glovo არის ტექნოლოგიური კომპანია, რომლის ძირითადი საქმიანობაა პლატფორმის შემუშავება და მართვა, რაც საშუალებას აძლევს გარკვეულ ადგილობრივ მაღაზიებს (**პარტნიორის** განმარტება იხილეთ ზემოთ) ზოგიერთ ქალაქში შესთავაზონ თავიანთი პროდუქცია აპლიკაციის/ვებგვერდის საშუალებით.

„Glovo აპი" გულისხმობს: ტექნოლოგიურ პლატფორმას (აპლიკაცია და ვებგვერდი), რომელიც შემუშავებული და მართულია Glovo-ს მიერ, საშუალებას აძლევს გარკვეულ ადგილობრივ მაღაზიებს (**პარტნიორის** განმარტება იხილეთ ზემოთ) ზოგიერთ ქალაქში შესთავაზონ თავიანთი პროდუქტები აპლიკაციის/ვებგვერდის საშუალებით.

„მხარეები" გულისხმობს: Glovo და პარტნიორს ერთად როგორც „მხარეები".

„პარტნიორი (პარტნიორები)" ასევე მოიხსენიება როგორც „თქვენ" და „თქვენი" და გულისხმობს: ნებისმიერ მაღაზიას ან რესტორანს, რომელიც დაეთანხმა Glovo–ს აპლიკაციის გამოყენების წესებსა და პირობებს და/ან ხელი მოაწერა პარტნიორის ხელშეკრულებას.

„პარტნიორის ხელშეკრულება "გულისხმობს: პარტნიორსა და Glovo-ს შორის დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება Glovo აპლიკაციის გამოყენების მიზნით.

„Promotool" გულისხმობს: პარტნიორის ვებ აპლიკაციას, რომელიც ხელმისაწვდომია პარტნიორებისთვის, რათა მათ შეძლონ მოითხოვონ და მართონ თავიანთი მარკეტინგული პროგრამები აქციების გვერდიდან

„წესები და პირობები" გულისხმობს: მოცემულ პირობებს, რომელიც არეგულირებს Promotool-ის პლატფორმის გამოყენებას.

„მომხმარებლები" გულისხმობს: Glovo აპლიკაციისა და პარტნიორის სერვისების ან პროდუქტების ნებისმიერ მომხმარებელს, კლიენტს ან საბოლოო მომხმარებელს, რომელიც დაეთანხმა ზემოთ მითითებული გამოყენების ზოგად პირობებსა და კონტრაქტებს.

„შერჩეული პარტნიორები" ნიშნავს: თანამშრომელი ან თანამშრომლები, რომელსაც პარტნიორი განსაზღვრავს, როგორც უფლებამოსილ პირს შექმნას და შეიმუშაოს კამპანიები პარტნიორების სახელით Promotool-ის გამოყენებით. ეს გადაწყვეტილება Promotool-ის პარტნიორის მიერ Glovo-სთან უნდა იყოს შეთანხმებული ნებისმიერ მოხმარებამდე.

2.- მოცემული წესების და პირობების მიზანი

მოცემული წესები და პირობები ვრცელდება იმ პარტნიორებზე, რომლებიც Promotool-ის საშუალებით ითხოვენ Glovo-ს მიერ Glovo-ს აპლიკაციაში პარტნიორისთვის სპეციალური აქციების შექმნას, პარამეტრიზაციას და განხორციელებას.

ეს წესები და პირობები ნებისმიერ შემთხვევაში არ შეცვლის „გამოყენების და ხელშეკრულების ზოგად პირობებს", რომელიც საერთოა ყველა მომხმარებლისთვის აქ და არც ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოეწერა ან დადებულია პარტნიორსა და Glovo-ს შორის, თუკი ასეთი შემთხვევა დადგა. ეს წესები და პირობები ავსებს მათ და შეიძლება შეიცვალოს და გაგრძელდეს Glovo-ს მიერ ნებისმიერ დროს, პარტნიორისთვის შეტყობინებით ან შეტყობინების გარეშე.

Glovo აცნობებს პარტნიორს, რომ მოცემული მომენტისთვის მხოლოდ Promotool არის პარტნიორებისთვის ხელმისაწვდომი უფასო მიტანის კამპანიებისთვის. როგორც კი პარტნიორებისთვის სხვა მარკეტინგული და სარეკლამო კამპანიები გახდება ხელმისაწვდომი, აღნიშნული წესები და პირობები განახლდება Glovo–ს მიერ და პირდაპირ გავრცელდება პარტნიორებზე.

ამ წესებისა და პირობების ბოლოში „ვეთანხმები Promotool-ის წესებსა და პირობებს"-ზე დაწკაპუნებით, თქვენ ეთანხმებით პირობებს და ასევე უფლებას აძლევთ Glovo-ს, წარმართოს Glovo-ს აპლიკაციაში კამპანია თქვენი სახელით.

3.- რა არის Promotool-ის სერვისი?

Promotool არის პლატფორმა, რომელიც Glovo-ს მიერ შერჩეული პარტნიორებისთვის არის ხელმოსაწვდომი, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ აღწერილ მოთხოვნებს და საშუალებას აძლევენ მათ მომხმარებლებისთვის წარმოაჩინონ, შექმნან, ჩართონ და გამორთონ აპლიკაციაში საკუთარი შეთავაზებები და აქციები აქციების შერჩევით და განსაზღვრით:

- საკუთარი კამპანიის სახელი,
- ქალაქები და მაღაზიები, სადაც ასეთი კამპანია იმოქმედებს,
- კამპანიის დაწყების და დასრულების თარიღები,
- კამპანიის ბიუჯეტი.

კამპანიასთან დაკავშირებული მონაცემები Promotool-ში პარტნიორმა სწორად უნდა შეიტანოს პროგრამაში, ვიდრე დააყენებს კამპანიის წარმართვის მოთხოვნას. თუ Glovo-ს მიერ სხვა რამ არ არის მითითებული, მხოლოდ პარტნიორია პასუხისმგებელი იმ ყველა ელემენტის განსაზღვრაზე, თუ ეს ელემენტები ხელმისაწვდომია Promotool-ის საშუალებით.

Glovo-ს შეუზღუდავი უფლება აქვს ნებისმიერ დროს ნებისმიერი ახალი სერვისი ან მარკეტინგული მეთოდი გამოიყენოს Promotool-ში. სხვა დანარჩენს შორის, შესაძლებელია შემდეგი მარკეტინგული მოქმედებების ჩართვა:

- **უფასო მიწოდება**: მომხმარებელი იღებს კერძს/პროდუქტს მიტანის ღირებულების გარეშე
- **უპროცენტო მიწოდება:** მომხმარებელი იხდის უპროცენტო მიწოდების საფასურს (რომელიც უკვე მოიცავს ფასდაკლებას - მაგ. 1 €)
- **პროდუქტებზე ფასდაკლების პროცენტი:** მომხმარებელი იხდის მთლიანი მენიუს (ან კონკრეტული პროდუქტებიდან) პროცენტს - მაგ., რესტორნის 20%.
- **2x1:** მომხმარებელი ყიდულობს ერთს და უფასოდ იღებს მეორეს (იგივე ნივთს).

<u>4.- მხარეთა პასუხისმგებლობა და უფლებები</u>

- **კამპანიის მახასიათებლები და Promotool-ის გამოყენება**

პარტნიორის მიერ Promotool-ში ჩასმული კამპანიების მონაცემები, წინამდებარე მე-2 მუხლის შესაბამისად, პარტნიორმა Promotool-ში უნდა შეიტანოს სწორად და ზუსტად, კამპანიის მოთხოვნის განთავსებამდე.

თუ Glovo-ს მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, პარტნიორი პასუხისმგებელია მხოლოდ ყველა იმ ელემენტების განსაზღვრაზე, რომელი ელემენტებიც ხელმისაწვდომია Promotool-ის საშუალებით.

პარტნიორი თანახმაა, Promotool გამოიყენოს მხოლოდ ლეგალურად და არ გამოიყენოს ასეთი ინსტრუმენტი აქ აღწერილი გამოყენებისგან განსხვავებულად. იმ შემთხვევაში, თუ Glovo დაადგენს, რომ პარტნიორმა დაარღვია წინამდებარე ვალდებულებები, მას უფლება ექნება გათიშოს პარტნიორის პროფილი და კამპანიები Glovo აპლიკაციის შიგნით, ასევე მოითხოვოს ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება.

- **კამპანიის გაუქმება**

მას შემდეგ, რაც პარტნიორი განათავსებს კამპანიას Promotool-ში, კაპმანიას უნდა დაეთანხმოს Glovo. პარტნიორი Glovo-ს გადაუხდის მის მიერ Promotool-ით მოთხოვნილი კამპანიის ღირებულებას ამ წესებისა და პირობების მე-6 მუხლის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორს სურს გააუქმოს კამპანია მის დასრულებამდე ან, იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორს სურს გააუქმოს Promotool-ის გამოყენების გამოწერა, პარტნიორს აქვს ამის გაკეთების შესაძლებლობა Promotool-ის შიგნით.

პარტნიორი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ხარჯები რომელიც მან უკვე გაიღო კამპანიის აქტივაციის და განხორციელების პერიოდში, მისი სახელით და აპის საშუალებით, არ ანაზღაურდება. ასევე არც დაერიცხება და კრედიტები არ მიეცემა პარტნიორს მთლიანი ბიუჯეტის ოდენობის კომპენსაცია, რომელიც უკვე გამოყენებულია მარკეტინგული ინვესტიციებისთვის ან კამპანიის ხარჯებისთვის.

- **Glovo-ს უფლებები**

Promotool-ის ხელმისაწვდომობა: Glovo იტოვებს უფლებას შეაჩეროს, გამორთოს, შეწყვიტოს, გადადოს ან ხელახლა გააააქტიუროს Promotool სერვისები, ასევე განაახლოს ან შეცვალოს ეს წესები და პირობები ნებისმიერ დროს თავისი შეხედულებისამებრ, პარტნიორისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის ვალდებულების გარეშე. ამ თვალსაზრისით, პარტნიორი თანხმდება, რომ არც Glovo და არც მისი რომელიმე სხვა პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი რომელიმე ამ გარემოებაზე.

თაღლითობა: Glovo იტოვებს უფლებას გააუქმოს პარტნიორის მიერ მოთხოვნილი სარეკლამო კამპანიები, თუ შეიტყობს პარტნიორის მიერ Promotool-ის თაღლითურად გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, Glovo იტოვებს უფლებას პარტნიორის მიმართ გამოიყენოს სანქციები იმ ოდენობით, რა ოდენობითაც Glovo-ს მიადგა ზარალი ასეთი თაღლითობის შედეგად, აგრეთვე ნებისმიერი დამატებითი ზიანისთვის, რომელსაც განიცდიდა ასეთი მავნე ან დაუდევარი საქციელით.

ფორსმაჟორი: Glovo არ იღებს პასუხისმგებლობას, თუ ფორსმაჟორული მოვლენის ან მის კონტროლს მიღმა მყოფი სხვა მოვლენის გამო ან რომლის საჭიროებაც გამართლებული იქნება, იძულებული იქნება გააუქმოს, შეამციროს, გააგრძელოს ან შეცვალოს აქციების და კამპანიების პირობები. კერძოდ, Glovo არ იღებს პასუხისმგებლობას, თუ ვებგვერდი არ იქნება ხელმისაწვდომი აქციების, კამპანიების მიმდინარეობის ნებისმიერ დროს Glovo აპის ან Promotool-ის გაუმართაობის გამო.

5.- რეგისტრაციის პროცესი

Promotool-ის სერვისზე რეგისტრაციისთვის, აქტიური უნდა გქონდეთ Glovo პარტნიორის ანგარიში და შეიყვანოთ საჭირო ინფორმაცია Promotool-ში, თქვენი პერსონალური Glovo-ს პარტნიორის პროფილის ,,ჩემი ანგარიშის'' სექციიდან.

6.- კომპანიის ფასი და გადახდა

- **კამპანიის ღირებულება ან ბიუჯეტი**

Promotool არის Glovo-ს აპლიკაციის სერვისი, რის საფუძველზეც Glovo აპლიკაციის პარტნიორებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი სარეკლამო და მარკეტინგული კამპანიები Glovo-სთვის კამპანიის თანხის გადახდით. ამიტომ, პარტნიორი პასუხისმგებელია მხოლოდ ხარჯების ან კამპანიის ბიუჯეტის გადახდაზე.

პარტნიორი აცნობიერებს და აღიარებს, რომ თითოეული კამპანიის მთლიანი ღირებულება უნდა იყოს წინა თვის მთლიანი გაყიდვების ექვივალენტის თანხის სულ მცირე ათი (10)%, რომელიც პარტნიორმა მიიღო Glovo აპლიკაციის გამოყენებით.

პარტნიორი აღიარებს და აცნობიერებს, როდესაც ის მიაღწევს კამპანიისთვის საერთო შეთანხმებული ღირებულების ან ბიუჯეტის 90% -ს, Glovo უფლებამოსილია შეაჩეროს კამპანია, რათა თავიდან იქნას აცილებული თავდაპირველი შეთანხმებული ბიუჯეტიდან გადაჭარბება.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მხარეები თანხმდებიან, რომ კამპანიის საწყისი ღირებულების ან ბიუჯეტის გადაჭარბების შემთხვევაში, სხვაობა საწყის ბიუჯეტსა და საბოლოო გლობალურ ბიუჯეტს შორის პარტნიორის მხრიდან დაეკისრება Glovo-ს.

- **Promotool-ის გადასახადი**

ამჟამად, მხარეები თანხმდებიან, რომ Promotool-ის გამოყენების ფასი უნდა შედიოდეს თითოეული პარტნიორის მიერ Glovo-სთვის გადახდილ თანხაში, აპის გამოყენებისთვის მხარეებს შორის დადებული პარტნიორობის შეთანხმების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, Glovo უფლებამოსილია გაავრცელოს Promotool გადასახადი ყველა მის პარტნიორზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, მათი წინასწარი წერილობითი შეტყობინებით გზით, ასეთი გადასახადის ძალაში შესვლამდე სულ მცირე ოცი (20) კალენდარული დღით ადრე. გადახდის მეთოდები აღწერილია შემდგომში.

- **გადახდის მეთოდები**

თითოეული კამპანიის საფასურის გადახდა და Promotoo-ის გადასახადი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება თანხის, რომელიც პარტნიორმა დახარჯა თითოეული კამპანიისთვის, Glovo-ს მიერ პარტნიორზე გაცემული ინვოის(ებ)იდან გამოქვითვით, როგორც ეს შეთანხმებულია და დადგენილია Glovo-ს აპის გამოყენებისთვის შესაბამისი პარტნიორობის შეთანხმებით მხარეებს შორის. ინვოისში მითითებული შესაბამისი დანიშნულება უნდა იყოს Promotool.

- **კუთვნილი გადასახადები**

Promotool-ის გადასახადი გამორიცხავს დამატებული ღირებულების გადასახადს - ან ნებისმიერ სხვა გაყიდვის გადასახადს ან მსგავს გადასახადს - რომელსაც საჭიროების შემთხვევაში Glovo პარტნიორს დააკისრებს და პარტნიორი გადაიხდის ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გარდა ამისა, პარტნიორის მიერ ჩართული მარკეტინგული მოქმედებებიდან გამომდინარე, თითოეული ამ მოქმედების დაბეგვრა მოხდება შემდეგნაირად:

- **უფასო მიწოდება** ან **უპროცენტო მიწოდება** პარტნიორის მიერ მოიაზრება: Glovo დააკისრებს პარტნიორს მიწოდების საკომისიოს შესაბამის ოდენობას, საჭიროების შემთხვევაში, მიწოდების საფასურის ოდენობაზე შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში, მიწოდების საფასურში უნდა შევიდეს დღგ-ს გადასახადი.
- **პროდუქტზე ფასდაკლების პროცენტი ან 2x1** მოაიზრება პარტნიორის მიერ: Glovo პარტნიორს დააკისრებს პროდუქტის ფასდაკლების ან ღირებულების შესაბამის რაოდენობას. ამ შემთხვევაში, Glovo პარტნიორს არ დააკისრებს დღგ-ს.

7.- მოქმედი კანონი

Glovo-სა და პარტნიორს შორის Promotool-ის გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობა რეგულირდება და განიმარტება ამ წესების და პირობების შესაბამისად, რომლის შექმნა, მოქმედება და შესრულება რეგულირდება ესპანეთის კანონმდებლობით; და ნებისმიერი დავა წარედგინება ბარსელონას სასამართლოებს.